



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არშის ციხე

არშის ციხე, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, შუა საუკ. ციხესიმაგრე. მდებარეობს თერგის ხეობაში ყაზბეგის მუნიციპ-ში, ისტორიულ ხევში. იგი წარმოადგენს ბუნებრივ სიმაგრეს, ციხისათვის მარჯვედაა გამოყენებული ანდებიტის ციცაბო კლდეები. ნაშენი კედლები მხოლოდ ნაკლებად დაცულ ადგილებშია გამოყენებული. მტრის შემოსევის დროს ა. ც-ს მთელი იმ კუთხის მოსახლეობა აფარებდა თავს. ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია საცხოვრ. სახლებისა და დამხმარე ნაგებობების ნაშთები. ციხეს ჰქონდა წყალსადენი, წყლის საცავი აუზები. ყველაზე ძვ. ნაგებობაა წმ. გიორგის უაფსიდო ერთნავიანი ეკლესია (IX-X სს.). ჩრდილოეთის მხრიდან კარიბჭე გამაგრებულია. მის წინ ქვით მოფენილი მოედანია, რ-ზედაც ქერს ლენავდნენ. კალოს მახლობლად სასაფლაო და აკლდამებია. ა. ც არსებითად გამაგრებული სოფელივით იყო. გალავანი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ადრინდ. საფეხურზეა აშენებული (XVI ს. დასასრ.-XVII ს. დასაწყ.). ა. ც. ციხეთა არც ერთ ტიპს არ მიეკუთვნება. იგი სრულიად განცალკევებით დგას, მაგრამ თვით მისი წარმოშობა და თავგადასავალი ტიპურია ფეოდ. ხანისათვის.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1983.
